პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-13 წელი

№ 80 (990) | კვირა, 30 სექტემბერი, 1956 წ. | ფასი 30 კაპ.

როდესაც უკანასკნელ ტურში სმისლოვი დასაწყისშივე შეუთანხმდა ყაიმზე ახალგაზრდა რუმინელ ოსტატ ჩოკილტიას, მატჩის სამმა პარტიამ თითქოს მნიშვნელობა დაჰკარგა — საბჭოთა კავშირის გუნდს პირველი ადგილი ვანაღდებული ჰქონდა. მიუხედავად ამისა დაძაბული ბრძოლა არ შენელებულა. მხოლოდ თავისი პოზიციის შესაძლებლობების ამოწურვის შემდეგ შეთანხმდა ყაიმზე კერესი, ხანგრძლივი თამაშის შემდეგ ასეთივე შედეგამდე მივიდა ტაიმანოვი. გელერმა მოუგო რადულესკუს.

ამგვარად, ოქროს გარდამავალი თასი კვლავ მოსკოვში დარჩა.

31 ქულა 44 შესაძლებლიდან — აი ის შესანიშნავი სპორტული შედეგი, რომელიც საბჭოთა გროსმაისტერებმა მოიპოვეს. II ადგილი და ვერცხლის მედლები მიეკუთვნა იუგოსლავებს (ზედმეტი მატჩის მოგების გამო), ხოლო უნგრელები იძულებულნი გახდნენ ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილებულიყვნენ. „ერების ტურნირების" ორგზის პრიზიორი არგენტინის გუნდი ამჯერად მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

დაფებზე საუკეთესო შედეგისათვის სპეციალური ჯილდოები მიიღეს: I დაფა — ბენტ ლარსენმა (დანია), რომელმაც 18 შესაძლებლიდან 14 ქულა მოაგროვა. ამ ახალგაზრდა მოჭადრაკეს ოლიმპიადაზე ბრწყინვალე თამაშისათვის საერთაშორისო გროსმაისტერის წოდება მიენიჭა. II დაფა — ალფრედ დიუკშტაინმა (ავსტრია) — 13 ქულა 17 შესაძლებლიდან. III დაფა — პაულ კერესმა — 9,5 ქულა 15-დან. IV დაფა — დავით ბრონშტეინმა 11 ქულა 13-დან. სათადარიგო მონაწილეთა შორის ჯილდოები მიიღეს რაულ სანგინეტიმ (არგენტინა) 9 ქულა 11-დან და ეფიმ გელერმა — 7,5 ქულა 10-დან.

მ. ბოტვინიკი

ვ. სმისლოვი

პ. კერესი

დ. ბრონშტეინი


მ. ტაიმანოვი

ე. გელერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეთა მწვანე სამოსელის ფონზე მკაფიოდ გამოირჩევა ლამაზი სამსართულიანი შენობა. ეს თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებით წელს ჩვენს ქვეყანაში გაიხსნა სკოლა-ინტერნატები, რომლებშიც ყველა პირობაა შექმნილი კომუნიზმის მშენებელი მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდისათვის.

თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატში 150 ბავშვი იზრდება. სწავლისაგან თავისუფალ დროს მოსწავლეები ხალისით მეცადინეობენ ჭიდაობის, ტანვარჯიშის, მძლეოსნობის, ფრენბურთისა და სხვა სპორტულ სექციებში.

• • •

სურათზე: თქვენ ხედავთ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს თეთრი წყაროს სკოლა-ინტერნატში. ვარჯიშს ატარებს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ა. მჭედლიძე.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

წინსვლის საწინდარი

3 თვის შემდეგ ვადა გაუდის 1953 წლიდან შემოღებულ ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციას, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი სპორტულ სექციებში ჩაბმული ახალგაზრდების ოსტატობის ამაღლების, საკავშირო და მსოფლიო რეკორდებისათვის ჩვენი სპორტსმენების ბრძოლის, სპორტის წამყვან სახეობებში მსოფლიო პირველობის მოპოვების საქმეს. სპორტული კლასიფიკაციის მოქმედების 4 წლის მანძილზე მომზადებულ იქნა ათასობით სპორტის ოსტატი, ათიათასობით თანრიგოსანი, სისტემატურად უმჯობესდებოდა საკავშირო და მსოფლიო რეკორდები. მარტო გასულ წელს სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა 1.021 სპორტსმენმა, თანრიგოსნის სახელი მოიპოვა 663.986 კაცმა, საბჭოთა სპორტსმენებმა დაამყარეს 315 ახალი რეკორდი, რომელთაგან 119 აღემატება მსოფლიო მიღწევას.

მაგრამ ამჟამად მოქმედი ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია ველარ აკმაყოფილებს საბჭოთა ფიზკულტურისა და სპორტის წინაშე დასახულ ამოცანებს. მთელი რიგი ნორმები და მოთხოვნები მოძველდა და მოითხოვდა გადასინჯვას. ამიტომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაადგინა 1957 წლის პირველი იანვრიდან შემოიღოს ახალი ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია, რომელსაც ამ ახლო ხანში გამოვაქვეყნებთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ამ ახალ დოკუმენტში მოცემულია სპორტსმენთათვის ოსტატობისა და თანრიგის მინიმების ერთიანი პრინციპი. იგი განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციების შემდგომი მუშაობის შინაარსს, წარმართავს მათს საქმიანობას პარტიისა და მთავრობის მიერ საბჭოთა ფიზკულტურისა და სპორტის წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის.

სპორტსმენთა ოსტატობის შემდგომი ზრდა, ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა შეუძლებელია ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მასებში, ახალგაზრდობაში სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენების გარეშე. ჩვენი ამოცანაა ფართოდ განვუმარტოთ სპორტში მომეცადინე ახალგაზრდობას ახალი სპორტული კლასიფიკაციის შინაარსი და დანიშნულება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოწინავე სპორტსმენების, კოლექტივების გამოცდილებათა ფართოდ დანერგვას. ეს საქმე ყოველთვის უნდა იყოს პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. ამასთან მათ თავიანთი მუშაობა არ უნდა შემოფარგლონ მხოლოდ მოწინავე სპორტსმენთა გამოცდილების ჩვენებით. საჭიროა სანიმუშო ძირეული ფიზკულტურული კოლექტივებისა და სპორტული სექციების მუშაობის მოწინავე გამოცდილებათა განზოგადება და დანერგვა.

სპორტში, ისე როგორც მთელს ჩვენს საქმიანობაში, წარმატება თავისთავად როდი მოდის. იგი მრავალი წლის ნაყოფიერი შრომის, მაღალი ნებისყოფის გამოვლინებისა და დაკისრებული მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ნაყოფია. მაღალი სპორტული მაჩვენებლების მოპოვებაში დიდ როლს თამაშობს აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, რათა დროულად აღმოვფხვრათ ყველა ის ნაკლოვანება, რომლებიც ხელს გვიშლიან მუშაობაში.

ახალი სპორტული კლასიფიკაცია დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს. საქმე იმაშია, რომ თუ აქამდე სპორტის ოსტატის წოდებას ანიჭებდა მხოლოდ-დამხოლოდ ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტი, ახალი კლასიფიკაციის თანახმად მოკავშირე რესპუბლიკების კომიტეტებს უფლება მიეცათ 1957 წლის პირველ იანვრიდან თვით მიანიჭონ ეს წოდება სპორტსმენებს, რომლებიც სხვადასხვა შეჯიბრებებში აჩვენებენ სათანადო შედეგებს. ასეთივე უფლება მიეცათ აგრეთვე დოსააფის ორგანიზაციებს — სასროლო სპორტში და დიდი ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებს — მესამე თანრიგის მინიმებში. ეს კი გვავალებს მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ საქმეს. სპორტულად მაღალ დონეზე უნდა მოეწყოს ყოველი შეჯიბრება იქნება იგი დიდი თუ პატარა მასშტაბისა. ამასთან ძირშივე უნდა აღვკვეთოთ დისციპლინის დარღვევისა და მსაჯთა მიკერძოების ფაქტები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება.

ახალი სპორტული კლასიფიკაცია ფართო გასაქანს აძლევს აგრეთვე სპორტის ეროვნული სახეობების შემდგომ განვითარებას. ფიზკულტურისა და სპორტის მოკავშირე რესპუბლიკათა კომიტეტებს უფლება ეძლევათ დაადგინონ ახალი ნორმები და მოთხოვნები სპორტის ეროვნულ სახეობებში. ამიტომ აუცილებელია ერთხელ კიდევ გადავსინჯოთ შეჯიბრების ჩატარების წესები, სათანრიგო ნორმები და მოთხოვნები ცხენოსნობაში, ლელობურთსა და ქართულ ჭიდაობაში.

სპორტულ საზოგადოებებში, კოლექტივებში, სექციებში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ამაღლება, სპორტის ოსტატებისა და თანრიგოსნების ახალი კადრების მომზადება — აი ის მთავარი საკითხები, რომელთა განხორციელებით რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები შეძლებენ ახალ წარმატებებს მიაღწიონ მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებაში.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პამირის ექსპედიციის მონაწილეთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით

მოსკოვის სახელობის მწვერვალზე პირველი ასვლის განხორციელებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ალპინისტები — ა. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის 1956 წლის პამირის ექსპედიციის მონაწილენი:

1. ახვლედიანი ზურაბ იოსების-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი.
2. ახვლედიანი ლევან აფრასიონის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი.
3. კუხიანიძე თეიმურაზ მიხეილის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი.
4. მეძმარიაშვილი ჯუმბერ ალექსის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი.
5. ობოლაძე დიმიტრი პლატონის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის უფროსი.
6. ხაზარაძე რევაზ დავითის-ძე — მოიერიშეთა ჯგუფის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის დროებითი აღმსრულებელი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1956 წლის 27 სექტემბერი.

საქართველოს ტანმოვარჯიშეები სპარტაკიადაზე

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა კოლექტივმა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მეხუთე საპრიზო ადგილი დაიკავა. მეხუთე ადგილი მოსკოვის, უკრაინის, ლენინგრადისა და რუსეთის ფედერაციის ძლიერი კოლექტივების შემდეგ არაა თავისთავად ცუდი მაჩვენებელი. მაგრამ თუ შეჯიბრების შედეგს განვიხილავთ, სპარტაკიადისათვის მზადების თითქმის ერთი წლის მანძილზე გაწეულ შრომასთან შედარებით, უნდა ითქვას რომ იგი შესაძლებელზე დაბალია.

საქართველოს ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ კოლექტივს სპარტაკიადისათვის მზადების დაწყებამდე და მზადების პროცესში უნდა გადაეწყვიტა ძირითადად ორი საკითხი: პირველი — შეერჩია და შეევსო ტანმოვარჯიშე ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები ნიჭიერი სპორტსმენებით და მეორე — ჩვენი კოლექტივის წამყვანი ტანმოვარჯიშეების სპორტულ-ტექნიკური მაჩვენებლების განუხრელ ზრდასთან ერთად, უზრუნველეყო გუნდში ახლადმოსული სპორტსმენების სპორტულ-ტექნიკური მაჩვენებლების ამაღლება წამყვან ტანმოვარჯიშეთა მაჩვენებლების დონემდე.

ამ მიზნით რესპუბლიკაში ჩატარებულ იქნა მრავალი შერჩევითი შეჯიბრება, პირველობა და ტანმოვარჯიშეთა დათვალიერება. შემდეგ დაკომპლექტდა ნაკრები კოლექტივი 15 ქალისა და 15 ვაჟის შემადგენლობით.

მწვრთნელების მუყაითი შრომის, ტანმოვარჯიშეთა დიდი უმეტესობის საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების და მთელი რიგი სპორტული და ორგანიზაციული ღონისძიებების ჩატარების შედეგად, შესაძლებელი გახდა ქალთა ნაკრები გუნდის დაკომპლექტება შემდეგი სპორტსმენებით: მ. ჯუღელი, გ. შარაბიძე, ა. ჩარგეიშვილი, თ. ბეთანელი, მ. ცნობილაძე, მ. ხაჩიძე, ტ. კომისარენკო და ვ. კლიმოვა. ვაჟთა გუნდში ცნობილი ტანმოვარჯიშეების რ. შარაბიძის, ს. ჯაიანის, ვ. კულუმბეგაშვილის, ა. გრინშტეინის, ვ. ასათიანისა და ო. ქორქიას გვერდით დადგნენ გუნდის ახალი წევრები რ. კაჭახიძე და ო. შაედია. თბილისში ჩატარებულმა უკანასკნელმა საკონტროლო შეჯიბრებებმა და ვარჯიშებმა სავსებით ცხადყო გუნდების კარგი მომზადება და კოლექტივის მესამე ადგილზე გასვლის რეალური შესაძლებლობა.

მაგრამ სპარტაკიადაზე ასე არ მოხდა. შეჯიბრების პირველ დღეს სავალდებულო ვარჯიშების შესრულებისას ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა უძლიერესმა ტანმოვარჯიშემ, საბჭოთა კავშირის შვიდგზის ჩემპიონმა ბჯენით ხტომებში მ. ჯუღელმა დაბალი შედეგები აჩვენა არა მარტო დვირზე, გურზებით და თავისუფალ ვარჯიშებში (8,95; 8,65; 9,05 ქულა), არამედ ბჯენით ხტომებშიაც (9,0 ქულა). ასევე დაბალი შედეგით აღინიშნა ჩვენი გუნდის მეორე უძლიერესი ტანმოვარჯიშის, დვირზე ვარჯიშში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის გ. შარაბიძის გამოსვლა დვირზე და თავისუფალ ვარჯიშებში (9,0; 9,15). სუსტად გამოვიდნენ ამ დღეს ტ. კომისარენკო ორძელზე და თავისუფალ ვარჯიშებში (8,9; 8,75), ვ. კლიმოვა დვირზე და გურზებით ვარჯიშში (8,55; 7,75). შეჯიბრების მეორე დღეს ნებისმიერი თავისუფალი ვარჯიშის შესრულებაში მ. ჯუღელმა 8,15 ქულა მიიღო, ხოლო გ. შარაბიძემ დვირზე ვარჯიშის შესრულებაში — 8,85; უფრო დაბალი შეფასება ხვდათ წილად ტ. კომისარენკოს და თ. ბეთანელს — ორძელზე (7,0; 8,0), მ. ხაჩიძეს და ა. ჩარგეიშვილს — დვირზე (7.05; 7,95). მიუხედავად ამისა, ქალთა გუნდი მთლიანად, წინა წლებთან შედარებით, გაცილებით უკეთ გამოვიდა შეჯიბრებაში და საშუალოდ 9,18 ქულა მოაგროვა. გუნდის წამყვან ტანმოვარჯიშეებს და მეტწილად, ზოგიერთ რიგით სპორტსმენებს მოულოდნელი ჩავარდნები რომ არ ჰქონოდათ, საშუალო ქულა სულ ცოტა 9,25-მდე გაიზრდებოდა და გუნდი მეხუთე ადგილის ნაცვლად მეოთხეზე გამოვიდოდა.

თავის შესაძლებლობაზე გაცილებით დაბალი შედეგებით გამოვიდა სპარტაკიადაზე ვაჟთა გუნდიც. შეჯიბრების პირველ დღეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა და მსოფლიო პირველობის პრიზიორმა ბჯენით ხტომებში ს. ჯაიანმა სრულიად მოულოდნელად ნოლი მიიღო სავალდებულო ხტომაში და დაბალი მაჩვენებლებით გამოვიდა ტაიჭზე, ორძელზე და თავისუფალ ვარჯიშებში (8,3; 7,6; 8,9). საბჭოთა კავშირის პირველობის არაერთგზის პრიზიორის, რ. შარაბიძის გამოსვლები დაბალი შედეგებით აღინიშნა ორძელზე, ტაიჭზე, თავისუფალ ვარჯიშში და ხტომებში (9,05; 8,65; 8,9; 9,0), ძლიერ სუსტად გამოვიდა ამავე სახეობებში ვ. ასათიანი (8,3; 3,8; 8,1; 7,8). ცუდი შეფასება მიიღეს ამავე დღეს ა. გრინშტეინმა ორძელზე (8,1) და რ. კაჭახიძემ თავისუფალ ვარჯიშში (8,9). შეჯიბრების მეორე დღეს ღერძზე ნებისმიერი ვარჯიშის შესრულებისას ს. ჯაიანმა უბრალო ილეთის შესრულებაში დაშვებული უხეში შეცდომის გამო 8,6 ქულა მიიღო და დაჰკარგა ამ იარაღზე საპრიზო ადგილის დაკავების რეალური შანსი. სუსტი იყო ამავე დღეს რ. შარაბიძის გამოსვლა ორძელზე და ტაიჭზე (8,45; 8,05), ძლიერ ცუდი მაჩვენებლები ჰქონდა ვ. ასათიანს ტაიჭზე, ხტომებსა და თავისუფალ ვარჯიშებში (6,15; 7,0; 0). შეუფასებელი დარჩა ღერძზე ვარჯიშში ო. შაედია. განსაკუთრებით სუსტად შეასრულა ვაჟთა გუნდმა ნებისმიერი ვარჯიშები ტაიჭზე. ამ იარაღზე უდიდესი შეფასება ვ. კულუმბეგაშვილს ჰქონდა (8,95), ხოლო გუნდის საშუალო ქულა 7,8-ს არ აღემატებოდა.

ასეთი არასახარბიელო გამოსვლის შედეგად ვაჟთა გუნდმა საშუალოდ 8,8 ქულა აჩვენა მაშინ, როდესაც მას შეეძლო ეს ციფრი გაეზარდა 9,1-მდე და ქალთა გუნდთან ერთად მესამე ადგილზე გამოსულიყო.

სპარტაკიადამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ტანმოვარჯიშე ქალთათვის ჯერ კიდევ ჩამორჩენილ სახეობებად რჩება თავისუფალი და დვირზე ვარჯიში. ჩვენს ქალებს შესამჩნევად აკლიათ მოძრაობათა კულტურა, სიზუსტე და გამბედაობა ვარჯიშების შესრულებაში. ვაჟებისათვის ჩამორჩენილ სახეობებად კვლავინდებურად რჩება ტაიჭი, ორძელი და ბჯენითი ხტომები.

ტანმოვარჯიშეთა კოლექტივის მოულოდნელ წარუმატებლობას აქვს თავისი მიზეზები: მოსკოვში გამგზავრებამდე და შეჯიბრების დაწყებამდე თორმეტი დღის მანძილზე, მხოლოდ ორი ნორმალური ვარჯიშის ჩატარება მოხერხდა. ავადმყოფობამ ხელი შეუშალა მ. ჯუღელს, რ. შარაბიძეს, ტ. კომისარენკოს, ვ. კლიმოვას. ძნელი იყო გამოსვლა ღია ცისქვეშ სიცივისა და ცვალებადი ამინდის პირობებში. წამყვანი ტანმოვარჯიშეების წარუმატებლობამ უარყოფითი გავლენა იქონია დანარჩენებზე, ხოლო ვაჟთა გუნდის მწვრთნელმა ნ. თაყაიშვილმა ამის საწინააღმდეგოდ ვერ იხმარა ყველა ზომა. ხელისშემშლელ პირობებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე წამყვანი ტანმოვარჯიშეების მიერ ინდივიდუალური წვრთნის არასრულყოფილი გამოყენება და ზოგჯერ მწვრთნელთა მიერ მომთხოვნელობის შესუსტება.

წარუმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რესპუბლიკაში კარგად მომზადებული ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა სიმცირეშია, რაც გვაიძულებს გუნდები შევავსოთ ისეთი პირველთანრიგოსნებით, რომლებიც შემდეგ იწყებენ ოსტატების პროგრამაზე მუშაობას და ცხადია შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე დარჩენილ მოკლე ვადებში ვერ ახერხებენ მისი საჭირო ხარისხით დაძლევას. ამიტომ შეუსრულებელი რჩება გუნდების შეჯიბრებაში წარმატებით გამოსვლის აუცილებელი პირობა — მისი თანაბარი ტექნიკური მაჩვენებლების მქონე სპორტსმენებით დაკომპლექტება.

რატომ ხდება ეს ასე, თუ ბავშვთა სპორტული სკოლები მართლაც დიდი რაოდენობით ამზადებენ თანრიგოსან ტანმოვარჯიშეებს, ხოლო საქართველოს ბავშვთა ნაკრები გუნდები პირველ ადგილს იკავებენ საკავშირო შეჯიბრებებში? საქმე იმაშია, რომ ბავშვთა სპორტული სკოლებიდან გამოსული ტანმოვარჯიშეების ტექნიკური მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ ისინი ნაკრებ გუნდებში ვერ ხვდებიან, წვრთნას აგრძელებენ უმაღლესი სასწავლებლების ან სპორტული საზოგადოებების ტანვარჯიშის სექციებში, აქ კი მათი ტექნიკური მაჩვენებლები იმდენად ნელა იზრდება, რომ ისინი მთელი რიგი წლების მანძილზე ნაკრები გუნდების გარეთ რჩებიან. ამის დამადასტურებლად მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან. 1952 წელს საქართველოს ბავშვთა სპორტსკოლებმა გამოუშვეს პირველთანრიგოსნები, ამჟამად თბილისის უმაღლესი სასწავლებლების 4-5 კურსის სტუდენტები ზ. თავართქილაძე, ა. ნარიმანოკო, ძმები ი. და შ. აფციაურები, რომლებმაც იმავე წელს ბავშვთა საკავშირო შეჯიბრებაზე გაცილებით უკეთესი შედეგები აჩვენეს, ვიდრე ერევნელმა ა. აზნაურიანმა (დღეს სპარტაკიადის და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი), მაგრამ ეს უდავოდ ნიჭიერი ტანმოვარჯიშეები, უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ერთხელაც ვერ მოხვდნენ საქართველოს ნაკრებ გუნდში.

ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მივაღწიოთ ბავშვთა სპორტულ სკოლებში კარგად მომზადებული ოსტატების გამოზრდას, გადაჭრით გავაუმჯობესოთ უმაღლესი სასწავლებლებისა და სპორტული საზოგადოებების ტანვარჯიშული სექციების მუშაობა, შევქმნათ თბილისში ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის წამყვან ტანმოვარჯიშეების სრულწლიურ სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით, დავაყენოთ ტანვარჯიშული სექციების მუშაობა საზოგადოებრიობის მკაცრი კონტროლის ქვეშ.

გ. ჭილაია,

საქართველოს სსრ სახელმწიფო მწვრთნელი ტანვარჯიშში.

შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა

დამთავრდა თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სპარტაკიადა. 20 დღის განმავლობაში კომბინატის სპორტსმენები პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ სპორტის რვა სახეობაში (მძლეოსნობა, ცურვა, კალათბურთი, ფრენბურთი, სროლა, მაგიდის ჩოგბურთი, ველო და ჭადრაკი).

მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, ცურვაში, ველოსპორტში პირველობა მოიპოვეს კოტონის საამქროს სპორტსმენებმა, სროლასა და მაგიდის ჩოგბურთში — კომბინატის სამმართველოს გუნდმა, ჭადრაკში — სართავ-საგრეხი საამქროს მოჭადრაკეებმა. საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა კოტონის საამქრომ.

საინტერესოდ ჩატარდა სპარტაკიადის დასკვნითი ნაწილი. სპარტაკიადაში გამარჯვებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ჯილდოები. „კრასნოე ზნამიას“ საიუბილეო სამკერდე ნიშნები მიიღეს კომბინატის საზოგადოებრივმა ინსტრუქტორებმა და აქტივისტებმა.

ა. ბარნოვი

ტურისტთა წინადადება

შოვის ტურისტულ ბაზაში დაიხურა სეზონი. წელს ტურბაზამ მომსახურება გაუწია 2.000-ზე მეტ ტურისტს.

შოვის ტურბაზაში კარგი პირობები იყო შექმნილი ტურისტთა სანიმუშო მომსახურებისათვის. მათ წამოაყენეს აგრეთვე ზოგიერთი წინადადებაც, რომელთა განხორციელებით მომავალში კიდევ უფრო გაუმჯობესდება მდგომარეობა. კერძოდ, მათ სურვილი გამოთქვეს, რომ საქართველოს ტურისტთა საექსკურსიო სამმართველომ და საკავშირო პროფსაბჭოს ტურისტთა საექსკურსიო ბაზამ ცვლილებები შეიტანონ 42-ე მარშრუტში იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოეთ ოსეთის ტრიალი მინდვრები გამოვლილ იქნას მანქანით, სამაგიეროდ მანძილი შოვიდან ონამდე ტურისტებმა ფეხით გაიარონ. ტურისტებმა სურვილი გამოთქვეს აგრეთვე ამ მარშრუტში გათვალისწინებულ იქნას ბუბის მწვერვალზე ასვლა ლამისთევით.

ა. მეტრეველი

საქართველოს პირველობა

23 სექტემბერს გორში ითამაშეს ადგილობრივმა და ბათუმის „დინამოს“ გუნდებმა. უკვე მეოთხე წუთზე ანგარიში გახსნა ფორველმა ბ. სანოძემ. წარმატებამ კიდევ უფრო გააცხოველა გორელთა შეტევები, მაგრამ კარში დარტყმები არ იყო ზუსტი. თანდათან ინიციატივა ხელთ იგდეს სტუმრებმა და მე-11 წუთზე მათ გაქვითეს გოლი — 1:1.

შესვენების შემდეგ ბათუმის „დინამომ“ გაიტანა გადამწყვეტი ბურთი და გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

• • •

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი შეხვდა სოხუმის „დინამოს“. სტუმრებმა თავიდანვე რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს ტრამვაელთა კართან და მალე პირველი ბურთი გაიტანეს. ამის შემდეგ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს კოლექტივმა ხელთ იგდო ინიციატივა და პირველი ტაიმის ბოლომდე ორჯერ აიძულეს სოხუმელები თამაში დაეწყოთ ცენტრიდან.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა დამატებით ოთხი ბურთი გაიტანეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:1.

• • •

სტალინირის „სპარტაკი“ თავის მოედანზე შეხვდა 26 კომ. სახ. რაიონის გუნდს. ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად სტუმრებმა ვერ შეძლეს წარმატების მოპოვება. შესამჩნევი იყო თავდამსხმელთა დაბნეულობა შეტევების დამამთავრებელ ფაზაში. თბილისელებისაგან განსხვავებით სპარტაკელები უფრო გაბედულად იბრძოდნენ.

90 წუთის განმავლობაში ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

• • •

მახარაძის „კოლმეურნისა“ და ქუთაისის „დინამოს“ შეხვედრამ, რომელიც მახარაძეში მოეწყო, მრავალი მაყურებელი მიიზიდა. თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი, როცა დინამოელებმა გაიტანეს ბურთი, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა. გაიმარჯვა ქუთაისის „დინამომ“ — 1:0.

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ოთხ დღეს გრძელდებოდა საზოგადოება „კოლმეურნეს“ პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ საგარეჯოს, წითელწყაროს, ლაგოდეხის, გარეუბნის, სამტრედიის და სხვა რაიონებისა და ქალაქების უძლიერესი სპორტსმენები. ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რაიონების 71 მოჭიდავე იბრძოდა საზოგადოების ჩემპიონის საპატიო სახელისათვის.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მოიპოვეს გარეუბნის წარმომადგენლებმა. მეორე ადგილი წილად ხვდა საგარეჯოს რაიონის სპორტსმენთა ძლიერ კოლექტივს, ხოლო მესამე—სამტრედიელ მოჭიდავეებს. კასპის რაიონის კოლექტივმა, რომელიც გასული წლის ჩემპიონი იყო წელს შეჯიბრებაში მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა. თავი გამოიჩინა წითელწყაროს გუნდმა. მართალია, წითელწყაროს რამდენიმე მოჭიდავე წონის დაუცველობის გამო მოიხსნა შეჯიბრებიდან, მაგრამ კოლექტივი მაინც მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

კოლმეურნე ფალავნები

◆

„კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობაზე

◆

„კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: ა. ჯანგველაძე (სამტრედია), ბ. მაისურაძე (გარეუბანი), ს. ბახტაძე (კასპი), ა. ცანკაშვილი (გურჯაანი), ს. ჩიტიშვილი (წითელწყარო), ს. მჭედლიძე (ლაგოდეხი), ი. კაჭარაზაშვილი (წითელწყარო), ვ. კერესელიძე (აჭარა). პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის წილად ხვდა ი. კაჭარაზაშვილს.

• • •

სურათზე: მარცხნიდან — ა. ჯანგველაძე, ბ. მაისურაძე, ს. ბახტაძე, ა. ცანკაშვილი, ს. ჩიტიშვილი, ს. მჭედლიძე, ი. კაჭარაზაშვილი, ვ. კერესელიძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჟოვის სახელობის მწვერვალზე

◆

ო. გიგინეიშვილი,

პამირის ექსპედიციის უფროსი.

◆

თუ სურხობისა და მუკ-სუს ხეობები მთლიანად მოხრუკულია, იშვიათად შეხვდებით წყალს, გარდა თვით სურხობისა და მუკ-სუს არაჩვეულებრივად მღვრიე და ტალახიანი წყლისა და ხეს მხოლოდ ქიშლაყების ოაზისებში დაინახავთ, სალრანის ხეობა მდიდარია წყლით და დასალევი წყალიც ბევრია. 16 აგვისტოს. მთელი დღე კვლავ ბილიკები გაგვყავდა და სახედრებს თავის ბარგთან ერთად დიდის წვალებით მივათრევდით. მხოლოდ 17 აგვისტოს დაღლილებმა და დაქანცულებმა მივაღწიეთ შესანიშნავ ტყეს. აქ გავშალეთ ძირითადი ბანაკი, შევქმენით საწყობი, დავდგით რადიოსადგური. ტყე მორენებზე იზრდებოდა და სალრანის ყინვარის ენა ზედ ტყის პირამდე აღწევდა.

ყველას გვაწუხებდა ჩვენი ნაგვიანევად ამოსვლა ამ ადგილებში. ფოთლებს უკვე ყვითელი ფერი გადაკრავდათ და ცხარედ ისმოდა ამ ადგილებში გავრცელებული ცხოველის — თარბაგანის სტვენა. თარბაგანი პირველი გრძნობს შემოდგომის სიცივეების მოახლოებას და მიწაში მიძვრება, რომ მიეცეს ზამთრის ძილს.

ყველაფერი ეს უტყუარი ნიშანი იყო იმისა, რომ შემოდგომის ავდარი ჩვენგან სადღაც სულ ახლოს იყო. მას უახლოეს დღეებში ველოდით. მითუმეტეს, რომ ხეების კენწეროების მიღმა, ყოველ საღამოს ტყვიისფერი ღრუბლები იკრიბებოდა. იქ, ზევით ყინვარზე, როგორც ჩანს უკვე საკმაოდ თოვდა.

მთელი ჩვენი საექსპედიციო ბარგის გადალაგებას, საჭურველის საბოლოოდ მორგებას, დაზვერვისათვის და იერიშისათვის პროდუქტების გადაწყობას ნორმალურ პირობებში სამიოდე დღე მაინც ჭირდებოდა. ჩვენ კი დროის ასეთი რეზერვი არ გაგვაჩნდა. ყველაზე მეტი, რისი დათმობაც შეგვეძლო ამ საქმისათვის, ეს იყო ერთი დღე.

18 აგვისტოს ადრე დილიდან, გვიან საღამომდე ყველანი ფეხზე ვიყავით. 19 აგვისტოს დილით თითქმის ყველაფერი მზად გვქონდა, მაგრამ საბოლოოდ დასამთავრებლად კიდევ რამდენიმე საათი დაგვჭირდა. ზურგჩანთები საკმაოდ მძიმე გამოგვივიდა. დროის სიმცირის გამო დამხმარე ჯგუფი ვერ მოასწრებდა საჭირო რაოდენობით რეისების გაკეთებას ყინვარზე საიერიშო და ძირითად ბანაკებს შორის, ამიტომ პირველივე ასვლაზე უნდა აგვეტანა რაც შეიძლება მეტი ტვირთი.

ბანაკიდან გასვლა შევძელით მხოლოდ შუადღისას. ძირითად ბანაკში მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩა, მათ შორის ერთი ექიმი, მეორე ექიმი, სახელდობრ გ. ცინცაძე უნდა ამოვიდეს საიერიშო ბანაკში, სადაც აგრეთვე გვექნება სამედიცინო პუნქტი, რომელიმე მთამსვლელის დაზიანების შემთხვევაში, ძირითად ბანაკიდან დახმარების მიწოდება მეტად ნაგვიანები იქნება, ვინაიდან წინასწარი ვარაუდით ძირითად და საიერიშო ბანაკს შორის იქნება არა ნაკლებ სამი დღის სავალი გზა. ზევით წამოვლენ აგრეთვე კინოოპერატორებიც, მათგან ორი დარჩება საიერიშო ბანაკში ასვლის დამთავრებამდე.

გზის დასაზვერად გაგზავნილმა ამხანაგებმა ჩამოვიტანეს ამბავი, რომ ოთხიოდე კილომეტრის მანძილზე, მორენებით კიდევ იყო შესაძლებელი სახედრებით ტვირთის ზიდვა, ეს საკმაოდ გვიმსუბუქებდა მოძრაობას ჩვენი მეტად ძნელი გზის პირველ მონაკვეთზე.

მალე გავლიეთ ტყე, სადაც ძირითადი ბანაკი გვქონდა გაშლილი და გადავედით სალრანის ყინვარის ენას. აქ, ყინულის დიდი გვირაბიდან გამორბოდა მდინარე სალრანი. სახედრებს მორენებზე ძალიან უჭირდათ მოძრაობა, გვიხდებოდა ბილიკების სახელდახელოდ კეთება, ქვის ლოდების გადაბრუნება. ერთი სიტყვით, ძნელი იყო იმის თქმა, თუ ვინ ვის უმსუბუქებდა გზას — სახედრები ჩვენ, თუ ჩვენ სახედრებს.

მივყვებოდით ყინვარის მარჯვენა კიდეს. არ გასულა ორიოდე საათიც ბანაკიდან გამოსვლის შემდეგ და ეს ჩვენი ეგრეთწოდებული გზა დიდ ქარაფს გადაადგა. ქარაფი ყინვარზე ეშვებოდა და სახედრებისათვის ამ ადგილის იქით წასვლა შეუძლებელი იყო.

ბარგი ჩვენ ავიკიდეთ. მეტად უსიამოვნო მომენტია, როდესაც ზურგი გრძნობს ტვირთის სიმძიმეს და თანაც იცი, რომ ამ ტვირთმა ზურგზე მრავალი დღით დაისადგურა.

სახედრები უკან მოვაბრუნეთ და დატვირთულები ქარაფით ყინვარზე ჩავედით. ყინვარის ზედაპირი საკმაოდ უსწორმასწოროა და ყინულის საკმაოდ დიდ ბორცვებისაგან შედგება, თანაც დაფარულია მორენული ქვებით. ფეხქვეშ ქვები ბრუნავს და სულ ადვილია ფეხის დაზიანება ან წონასწორობის დაკარგვა, თანაც ქვები ყინულზე სრიალებენ და ხშირად წინ გადადგმული ნაბიჯის შედეგად, წინწაწევის მაგივრად სადღაც ქვევით მივსრიალებთ. თანაც ტვირთი გვეხამუშება, ზურგი უკვე გაოფლიანდა და თვალებშიაც ატანს ოფლის წვეთები.

საღამომდე შორს ვეღარ წავედით, ვერც კარგი ადგილი ვნახეთ ღამის გასათევად. იძულებული გავხდით იქვე ქვებზე გაგვეგო ჩვენი საძილე ტომრები. ასეთ ლოგინში, წვეტიან ქვებზე წოლა, დიდ სიამოვნებას არ გვგვრიდა, მაგრამ იმის იმედი გვასაზრდოვებდა, რომ მრავალი დღის შემდეგ იქნებ კიდევ მოვესწრებოდით რბილ საწოლებს.

ღამით ოდნავ წამოვათოვა და დილით, როდესაც გაგვეღვიძა, დავინახეთ, რომ გარშემო ქედებზე საკმაოდ სქლად მოეთოვა. თოვლის ხაზმა დიდი მანძილით ქვევით დაიწია. ეს ვერ იყო კარგის მომასწავებელი.

ყინვარის პირველ მონაკვეთზე, იმ ადგილებამდე, სადაც პირველი ყინულის ჩანჩქერები და ძნელად გასავლელი ნაპრალები იწყება, ტვირთის ამოტანაში, ჩვენი ახალგაზრდა მექარავნენი ნურმანი, სადილა და ამონი გვეხმარებიან. მათ მოაქვთ საკმაოდ მძიმე დიდი კარავი, რომელშიც ათ კაცამდე დაეტევა. იძულებულნი ვართ ეს კარავი ყინვარის შუა წელამდე ავიტანოთ, ვინაიდან პატარა კარვების დიდი ნაწილი მდინარე მუკმა წაგვართვა და რაც დაგვრჩა, ყველა საიერიშო ბანაკში გვჭირდება. ყველას ძალიან ადრე გაგვეღვიძა, ცას ჯერ მტრედისფერადაც კი არ ენათა, ნურმანი, სადილა და ამონი კი უკვე არსად იყვნენ — ისინი წყლის საძებნელად წასულიყვნენ. მაგრამ ხელცარიელნი მობრუნდნენ—ღამით ყველაფერი ისე შეიყინა ჩვენს გარშემო, რომ მახლობლად წყლის ნატამალიც არსად იყო. თერმომეტრი გვიჩვენებდა — 4°. აქ ასეა, ზევით, რაღა იქნება?

ამონმა მაინც არ მოისვენა და სადღაც შორს მიაგნო ნაპრალიდან გამომდინარე პატარა ღელეს. ამონი ყირგიზია, ჯერ ოცი წლისაც არ არის და ყველაფრისადმი დიდ ინტერესს იჩენს, დაინტერესდა ჩვენი მოგზაურობითაც. საქართველოზე ბევრი რამ გაუგონია, წაუკითხავს და როდესაც გაიგო, რომ საქართველოდან ვართ, მოვიდა ჩვენთან ქიშლაყ ჯირგითალში და შემოგვთავაზა თავისი სამსახური. ყველაფერს დიდი ხალისით აკეთებს, რა რიგ მძიმეც არ უნდა იყოს გასაკეთებელი საქმე, ახლაც მეტისმეტად მძიმე ზურგჩანთით დაიტვირთა და სულ იმას იმეორებს, რომ აუცილებლად ქართული უნდა ვისწავლოო და მართლაც, ეტყობა ენების სწრაფად შესწავლის უნარი აქვს — უკვე ცოტა რამ ესმის ჩვენი ნალაპარაკებიდან და შეგვიძლია მას ზოგ შემთხვევაში ქართულადაც კი მივმართოთ.

20 აგვისტოსათვის დაგეგმილი გვქონდა დაახლოებით 4.000 მეტრის სიმაღლემდე ასვლა და იმ ადგილის მიღწევა, სადაც ყინვარი სალრანი აღმოსავლეთისაკენ უხვევს. ამისათვის საკმაოდ დიდი და შრომატევადი უბანი უნდა გაგვევლო, მოგველოდა მთელი დღის დაძაბული მუშაობა. გვღლიდა და მოძრაობას გვიძნელებდა აგრეთვე მიდამოს ერთფეროვნება — მორენებით მოფენილი ყინვარის რუხი ზედაპირი და ასეთივე რუხი ქედები, რომლებიც გარშემო გვერტყა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ვჩერდებოდით და თავს მაღლა ვწევდით, მზერას თოვლიანი მწვერვალები იტაცებდა. მწვერვალები კი აქ უამრავი იყო. ჩვენმა წინამორბედებმა რამდენიმე უმთავრეს მწვერვალს, რომლებიც უშუალოდ ხეობას ადგანან თავზე, სახელები დაარქვეს. მაგრამ ათეულობით დარჩენ ისეთები, რომლებიც ელიან ამსვლელსაც და სახელსაც. მათ შორის ბევრია ისეთიც, რომელთა სიმაღლე 6.000 მეტრს უახლოვდება.

ჩვენს წინ, ყინვარის მოსახვევში სალრანის ყინვარის პირველი მკვლევარის ლიპსკის სახელობის მწვერვალი დგას. არაჩვეულებრივად პირქუშია და ქარაფიანი, ნამდვილი შვეული კედელია. ეს კედლები კიდევ უფრო გვიძლიერებენ რაღაც მძიმე ერთფეროვნების გრძნობას.

შუადღისათვის მივუახლოვდით ლიპსკის მწვერვალის კედლებს. მორენებით დაფარულ ყინვარის რუხ ზედაპირზე გამოჩნდა სუფთა ყინულის ვიწრო ზოლები, სიმაღლესთან ერთად თეთრი ზოლებიც მატულობდა, ლიპსკის მწვერვალის კედლებთან მორენები თითქმის გაქრა. ყოველი მხრიდან თვალის მომჭრელად ბზინავდა ყინულის თეთრი ზედაპირი. აქ ყინვარის სიგანე 500 მეტრამდე ვიწროვდება, შვეულ, ბუმბერაზ კედლებს შორის ჩაჭედილი მოედინება. თუმცა ყველანი მრავლისმნახველი მთამსვლელები გიყავით, მაგრამ ასეთ სურათს პირველად ვხედავდით — ასეთი პირქუში ადგილი მანამდე არსად გვინახავს.

ამ ადგილებში ყინვარი ნაპრალების ზოლებმაც გადასერა. ნაპრალები დასაწყისში არ იყო ფართო და ადვილად ვხტებოდით. პირველ ხანებში გაგვახალისა კიდეც ნაპრალებმა, რაღაც უფრო მხიარულად მიდიოდა დრო და მანძილი შეუმჩნევლად იკვეცებოდა, მაგრამ, როდესაც ცალკეული ნაპრალები ხვეულებად იქცა და ხვეულებიდან გასასვლელს უკვე ძნელად ვპოულობდით, ჩვენი სიმხიარულეც და ხალისიც გაქრა. ხვეულებიდან გასასვლელის ძებნაში საკმაოდ დიდ დროს ვკარგავდით, თანაც ნაპრალები გაფართოვდა და სიღრმით რამდენიმე ათეულ მეტრს აღწევდა, ბევრი მათგანი წყლით იყო სავსე. რთული ნაპრალები ისე თანდათანობით შეგვეპარა, რომ თოკი არც კი გაგვიშლია. ამ შეცდომამ მხოლოდ შემთხვევით არ მოგვიტანა მძიმე შედეგი. ერთ-ერთ საკმაოდ ფართო და ღრმა ნაპრალზე გადახტომის დროს, დამხმარე ჯგუფის წევრს ჯუმბერ დარსაველიძეს მძიმე ზურგჩანთამ დასძლია და ნაპრალის პირზე წონასწორობა დაკარგა. მხოლოდ რაღაც უცნაურმა შემთხვევითობამ გადაარჩინა იგი ნაპრალში ჩაჩეხვას.

დავბანაკდით. ყინულზე წოლა ბევრად უფრო მოსახერხებელი იყო, მაგრამ, სამაგიეროდ საშინლად ციოდა. ამინდიც ვერ იყო სახარბიელო. მზის ჩასვლისას ცაზე ღრუბელი ჩიოა და თოვლიც წამოვიდა. იმედი გვქონდა, რომ ხვალ გამოიდარებდა. იმედი არ გამართლდა, როდესაც ღამით გამომეღვიძა, კარვის შრიალი მომესმა — კარავს თოვლს აყრიდა, გარეთ სქელი ნისლიც იდგა. დილისათვის თოვას საკმაოდ ძლიერი ქარიც დაემატა. ათიოდე მეტრზე აღარაფერი ჩანდა ისეთი ნისლი იყო ჩამოწოლილი. ასეთ ამინდში წინ ვერ წავიდოდით — ამ ადგილებში იწყებოდა ყინულის ჩანჩქერები, რომლებიც ე. აბალაკოვის აღწერით მეტად ძნელი დასაძლევი იყო და ამავე დროს სიცოცხლისათვის საშიშიც. ძალიანაც რომ გვდომოდა ასეთ ამინდში ყინულის ნაპრალებში, გზას ვერ გავიგნებდით, დროის დაკარგვა კი არ გვინდოდა. მოვითათბირეთ. გადავწყვიტეთ, რომ დამხმარე ჯგუფი დაბრუნდებოდა ძირითად ბანაკში. ქვევითკენ გზა ნაცნობი იყო და გზის გაკვლევას შეძლებდნენ, ბარგს, გარდა საძილე ტომრებისა, აქ დატოვებდნენ და სწრაფი სიარულის შემთხვევაში საღამოსათვის ჩავიდოდნენ ძირითად ბანაკში, ხვალ კი ახალი ტვირთით წამოვიდოდნენ უკან. ამით დროს მთლიანად აღარ დავკარგავდით და ნაწილობრივ მაინც გამოვიყენებდით. მოიერიშე ჯგუფი კი დაუცდიდა კარგ ამინდს და ამინდის ოდნავი გაუმჯობესების შემთხვევაში, შეეცდებოდა წინ წაწევას. ასეც გავაკეთეთ. დამხმარე ჯგუფი დაუყოვნებლივ მოემზადა და ქვევით დაეშვა, ხოლო დარჩენილებმა დავუწყეთ ლოდინი ამინდს.

მხოლოდ მეორე დღეს, 22 აგვისტოს ნისლმა აიყარა, სწრაფად მოძრავ ღრუბლებში მზის დისკოს მოხაზულობა ჩანდა. მოიერიშე ჯგუფი დაუყოვნებლივ წავიდა წინ, რომ გზა გაეკვლია ყინულის ჩანჩქერებში. ბანაკში დავრჩი კინოოპერატორ ბ. კრეპსთან და ექიმ გ. ცინცაძესთან ერთად, ჩვენ დავუცდით დამხმარე ჯგუფის ამოსვლას და შემდეგ მათთან ერთად გავიელით ყინულის ჩანჩქერებს საიერიშო ბანაკისაკენ.

ბანაკი საკმაოდ დიდ სიმაღლეზეა —დაახლოებით 4.000 მეტრზე. მაგრამ ეს სიმაღლე მაინც ისეთია, რომ მთამსვლელმა ნორმალურ პირობებში ვერ უნდა იგრძნოს. მაგრამ ჩვენ ისეთი სისწრაფით მივდიოდით მთელი გზა, იმდენი ჯაფა დაგვადგა გზაში და ისე ვიყავით დაღლილები, რომ ღამით ბევრი შფოთავდა ძილში — უკვე იგრძნობოდა ჟანგბადის ნაკლებობა და ოდნავი თავის ტკივილი. ამიტომ ერთი დღის იძულებითი გაჩერება სასარგებლოც კი იყო, მაგრამ მეორე ღამეს, როდესაც გაიშვიათებულ ჰაერს თითქმის ყველა შეეჩვია, ღამით მაინც არავის არ დაგვეძინა. ყინვარი ეს ყინულის მდინარეა, რომელიც მოძრაობს. თუმცა მისი სიჩქარე წელიწადში სულ რამდენიმე მეტრით განისაზღვრება. ამ მოძრაობის დროს ყინული სკდება, ჩნდება და იხურება ნაპრალები. ამიტომ ყინვარზე ღამის თევა გამოუცდელი კაცისათვის მეტად საშიშია. საბანაკოდ ჩვენ შევარჩიეთ ყინვარის საკმაოდ ვაკე ზედაპირი. ჩვენს გვერდით ამართული მწვერვალის ციცაბო კედლებს საკმაო მანძილით ვიყავით დაცილებული ისე, რომ იქიდან წამოსული ქვები ჩვენს კარვებამდე ვერ მოაღწევდნენ, ამიტომ იმ საშინელ გრუხუნს, რომელიც ისმოდა ქვათაცვენისას, ყურადღებას არ ვაქცევდით.

ღამით ის ის იყო ჩაგვეძინა, რომ გრგვინვის მაგვარმა ძლიერმა ხმამ გაგვაღვიძა. შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ თითქოს ჩვენს თავქვეშ გრიალებდა. მივხვდით, თუ რაშიც იყო საქმე — ყინვარი ამოძრავდა, ჩვენს ზევით მყოფი ყინულის ჩანჩქერი, როგორც ჩანს, დააწვა ყინულს, რომელზედაც ჩვენ ვიწექით და ყინულმა სკდომა დაიწყო. ყინულის სკდომას, როგორც ჩანს, ტემპერატურის დაცემამაც შეუწყო ხელი. პირველ გრიალს მოყვა მეორე, ის იწყებოდა სადღაც შორს, შემდეგ ახლოვდებოდა, გაგვივლიდა ყურისძირში და შემდეგ სადღაც მიყუჩდებოდა, ან და პირდაპირ ვარდებოდა ქვემეხივით. ხმაური ისეთი ძლიერი იყო, რომ დაძინებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო, თუმცა იმედი გვქონდა, რომ მაინცდამაინც ჩვენს კარვის ქვეშ არ გაჩნდებოდა ნაპრალი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

◇

27 სექტემბერს, მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის რაიონკუზელთა სახლში შედგა პამირის ექსპედიციის მონაწილეებთან შეხვედრა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. ტრიბუნაზეა პამირის ექსპედიციის უფროსი ო. გიგინეიშვილი, რომელმაც ილაპარაკა ჩატარებული ექსპედიციის შესახებ. შემდეგ სიტყვით გამოვიდა საიერიშო ჯგუფის ხელმძღვანელი დ. ობოლაძე, რომელმაც დაწვრილებით უამბო საიერიშო ჯგუფის მოქმედებაზე და იერიშის ცალკეულ მომენტებზე.

მამაც მთამსვლელებს მიესალმა აკადემიკოსი ნ. კეცხოველი. საღამოს ნაწილის დასასრულს გ. სიხარულიძემ გამოაცხადა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ალპინისტების სიგელებით დაჯილდოების შესახებ. შემდეგ ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის ბრძანებით გასული წლის სახომალეო ასვლებში პირველი ადგილისათვის ოქროს მედლები გადაეცათ ჯ. მეძმარიაშვილს, ლ. ასვლედიანს, მ. ხერგიანს და ი. კახიანს. სახომალო ასვლებში მეორე ადგილისათვის ვერცხლის ჟეტონებით დაჯილდოვდნენ დ. ობოლაძე, სოხარ და ჯოკია გუგავები, ზ. ასვლედიანი და მ. გვარლიანი. ტექნიკურად რთული ასვლებისათვის ბრინჯაოს ჟეტონები გადაეცათ ი. მარხს, ბ. ხერგიანს, ჰ. ჩართოლანს და ი. გაბლიანს.

ალპინისტები მორენებს შორის მიიკვლევენ გზას საიერიშო ბანაკისაკენ.

გაგრძელება. იხ. „ლელო“ № № 78, 79.

საქართველოს პირველობა

(დასასრული)

26 სექტემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ითამაშეს ადგილობრივი „ლოკომოტივისა“ და 26 კომ. სახ. რაიონის გუნდებმა. რკინიგზელთა კოლექტივი მოედანზე გამოვიდა შეცვლილი შემადგენლობით. თავდასხმაში თამაშობდა უმთავრესად ახალგაზრდობა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნახევარი „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაინც ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა. მეორე ტაიმი 26 კომ. სახ. რაიონის გუნდმა უფრო ენერგიულად ჩაატარა. მე-14 წუთზე ძლივს იხსნა რკინიგზელები აშკარა გოლისაგან, ხოლო უკანასკნელ წუთებში 26 კომ. სახ. რაიონის გუნდმა ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი კარის ასაღებად. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

* * *

ფოთში ადგილობრივი „ბურევესტნიკი“ ეთამაშა „დინამო“ 1 (თბილისი) ფეხბურთელებს. მიუხედავად ორივე გუნდის ცდისა, პირველ ნახევარში ანგარიში არ გახსნილა. მეორე ტაიმი დაიწყო დინამოელთა შეტევით და 21-ე წუთზე ხუციშვილმა გაიტანა პირველი ბურთი. ამის შემდეგ დინამოელებმა დაიწყეს დროის გაჭიანურება, რათა შეენარჩუნებინათ მოპოვებული წარმატება, მაგრამ ერთ-ერთი შეტევის დროს მასპინძლებმა გაიტანეს საპასუხო ბურთი და თამაში დამთავრდა ფრედ 1:1.

* * *

სოხუმის „დინამომ“ თავის მოედანზე მიიღო ქუთაისელი თანაკლუბელები. თამაში დაძაბული და საინტერესო გამოდგა და დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

* * *

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 30 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ლოკომ“. თბ.	26	20	4	2	65:12	44
„დინამო“ ბათ.	25	13	9	3	51:26	35
„დინამო“ ქუთ.	25	14	7	4	46:27	35
ტპს-ი თბ.	23	14	6	3	70:15	34
„დინამო“ სოხ.	25	11	6	8	47:45	28
26 კომ. სახ. რ-ნი	27	10	8	9	41:51	28
„ბურევ“. ფოთი	24	10	7	7	28:33	27
„კოლმ“. მახ.	20	10	4	6	45:31	24
„დინამო“ გორი	26	8	7	11	30:37	23
„ტორპ“. ქუთ.	25	7	5	13	38:55	19
„კოლმ“. ქობ.	19	5	6	8	17:27	16
„მეტ“. რუსთ.	25	5	6	14	21:48	16
„სპარტ“. სტალ.	25	4	6	15	22:56	14
„დინამო“ I თბ.	15	3	4	8	15:33	10

ამას წინათ მოსკოვს ესტუმრა საფრანგეთის კალათბურთელ ქალთა გუნდი „მარსელ-სტადიონი“ ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის კალათბურთის მოედანზე იგი შეხვდა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს. გამარჯვება მოიპოვეს მოსკოველებმა (43:33).

სურათზე: თამაშის მომენტი.

მოსკოვში, ნორჩ პიონერთა ტრეკზე ორ დღეს გრძელდებოდა ველოსიპედისტთა საერთაშორისო შეჯიბრება.

სურათზე: მწვრთნელი ს. მინაკოვი ულოცავს საბჭოთა სპორტსმენს გ. მარტინოვს, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა რბოლაში 60 წრეზე.

ჰაერში „სოკოლი“

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოს აეროდრომიდან ჰაერში აიჭრა სპორტული თვითმფრინავი „სოკოლი“ და კურსი აიღო აღმოსავლეთისაკენ. მთელი დანარჩენი გზა გადიოდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ფრენის ძირითადი საკონტროლო პუნქტები იყო ქალაქები: სტანისლავი, კიევი, ვორონეჟი, სარატოვი, ურალსკი, ჩკალოვი, კუსტანაი და კულუნდა. კიევის რაიონში მამაცი ჩეხი სპორტსმენის ფრანტიშეკ ნოვაკის თვითმფრინავი „სოკოლი“ მოჰყვა ჭექა-ქუხილში. მანძილი კიევიდან ვორონეჟამდე მან ძალზე ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში დაძლია.

22 საათისა და 12 წუთის ფრენის შემდეგ თვითმფრინავი დაეშვა ალტაის მხარის ქალაქ კულუნდაში. ეს იყო შესანიშნავი გაფრენა. „სოკოლმა“ ქალაქ ბრნოდან კულუნდამდე ძირს დაუშვებლად გადაიფრინა 4.400 კილომეტრზე მეტი მანძილი. ამ შესანიშნავი გამარჯვებით ჩეხმა პილოტმა ფ. ნოვაკმა გააუმჯობესა შორეული ფრენის მსოფლიო რეკორდი მეორე წონითი კატეგორიის თვითმფრინავებისათვის, რომელიც ამერიკელმა მფრინავმა ნ. კონრადომ დაამყარა 1952 წელს. ფ. ნოვაკის ეს ახალი მიღწევა მისი მესამე მსოფლიო რეკორდია. ფ. ნოვაკი პროფესიით ავტომექანიკოსია. საავიაციო სპორტში მეცადინეობს 1946 წლიდან. ამჟამად მუშაობს მფრინავ-ინსტრუქტორად ქალაქ ბრნოს აეროკლუბში.

სიმღერის ძალა

ფრანგ ფეხბურთელთა გუნდის „ნიცეს“ (1-ლი ლიგა) მწვრთნელია არგენტინელი ლუის კარნაგლია. მან თავის გუნდს თამაშის დაწყებისა და დამთავრების შემდეგ ჩვეულებად გაუხადა სიმღერა.

— სიმღერა თამაშის წინ წმენდს ფილტვებს და კარგ განწყობას უქმნის მოთამაშეებს, — განაცხადა მან.

— თამაშის შემდეგ? — ჰკითხეს მას.

— თუ ჩვენ თამაშს ვიგებთ, რა თქმა უნდა, სიმღერა სწორედ რომ საჭიროა, ხოლო თუ ვაგებთ, მოწინააღმდეგე იფიქრებს, რომ სულით არ დავცემულვართ და რევანშზე ვოცნებობთ.

მოცურავემ დაჯაბნა ზღვის ლომი

ცნობილმა მოცურავემ ოტო კემერიხმა 20 წლის წინათ მოაწყო საინტერესო შეჯიბრება გაწვრთნილ ზღვის ლომთან.

ზღვის ლომი 42 საათის შემდეგ ამოვიდა წყლიდან. ოტო კემერიხმა კი კიდევ 5 საათი იცურა.

37 კალათბურთელის მამა

საუდის არაბეთის მეფეს აქვს ორი ძლიერი გატაცება: ბავშვები და კალათბურთი. მას 37 შვილი ჰყავს (გოგონების ჩაუთვლელად) და 37-ივე თამაშობს კალათბურთს. ბავშვები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად და ყოველდღიურად ხვდებიან ერთმანეთს. მამა, როგორც გულშემატკივარი, დიდი ხალისით ესწრება მათ ყოველ თამაშს.

გულშემატკივარის სიკვდილი

ბევრი ყურადსაღები ამბები გვსმენია სპორტის მოყვარულთა შესახებ, რომლებიც მტკივნეულად განიცდიან თავისი გუნდის მოგებასა თუ წაგებას, მაგრამ ბრაზილიის კალათბურთელთა გუნდის „ფლამინგოს“ თაყვანისმცემელმა ჯილბერტო კარდოზომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ჯილბერტო კარდოზო იყო პოპულარული და თავის დარგში მეტად დახელოვნებული ექიმი. ამავე დროს იგი ბრაზილიური კლუბის „ფლამინგოს“ თავმჯდომარე იყო. კარდოზო „ფლამინგოს“ საწვრთნელ თამაშებსაც კი არ აცდენდა ხოლმე.

ერთხელ იგი მოწამე იყო დაძაბული ბრძოლისა, რომელიც მიმდინარეობდა „ფლამინგოსა“ და ლიბანის „რივალენის“ კალათბურთელთა გუნდებს შორის. თამაშის დამთავრებამდე უპირატესობა მოწინააღმდეგის მხარეზე იყო — 43:41. კარდოზო საშინლად განიცდიდა ამ მარცხს, სულ უკანასკნელ წუთებში „ფლამინგომ“ ანგარიში გაათანაბრა და თამაში მოიგო კიდეც — 44:43. კარდოზო ნერვიული გადაღლის შედეგად ისე ცუდად შეიქნა, რომ იგი სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაიცვალა.

სპორტზე ამ ფანატიკურად შეყვარებული ადამიანის ცხედარი რიოს ასიათასობით მცხოვრებმა გააცილა, მისი კუბო ხელით მიჰქონდათ ქალაქის ქუჩებში, დაასვენეს სტადიონის კარებთან. რამდენიმე ასეული გვირგვინი მოიტანეს ბრაზილიის მცხოვრებლებმა და ენთუზიასტებმა. გვირგვინები გამოგზავნა აგრეთვე ევროპის რამდენიმე სპორტულმა კლუბმა და საზოგადოებამ. მათ შორის იყო მოსკოვის „დინამოდანაც“.

ბრაზილიელთა ტურნე ევროპაში

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელები ევროპაში არ არიან ხშირი სტუმრები. განსაკუთრებით იშვიათად გამოდიან ევროპის სტადიონებზე ლათინური ამერიკის ნაციონალური ნაკრები გუნდები. უმეტესად ისინი გამოჩნდებიან მაშინ, როდესაც ევროპაში რაიმე დიდი საერთაშორისო ტურნირი იმართება (მსოფლიო ჩემპიონატი ან სხვ.).

ამიტომ ევროპაში ბრაზილიის ნაკრები გუნდის ჩამოსვლა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. უკანასკნელი ვიზიტი, რომელიც აპრილ-მაისის თვეში მოეწყო, მიზნად ისახავდა 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატისათვის მზადებას.

ის ამბავი, რომ ბრაზილიელები ასე ადრე შეუდგნენ პირველობისათვის სამზადისს, არ არის გასაკვირი. როგორც ჩანს მათ სერიოზულად გადაწყვიტეს ამ საპასუხისმგებლო ტურნირში გამარჯვება. ბოლოსდაბოლოს როდისმე ხომ უნდა თქვას ბრაზილიამ თავისი სიტყვა ჩემპიონატში. გასული პირველობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფეხბურთის ეს ძლიერი ქვეყანა ხან უბედობის გამო, ხან თავისი მიზეზით, ვერ იქნა და ვერ ჩაუდგა სათავეში მსოფლიოში უძლიერესთა სიას.

1950 წლის პირველობაზე ბრაზილიის გუნდის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, რადგან ისინი მასპინძლების როლში გამოდიოდნენ. ფინალში ბრაზილიელებმა დიდი ანგარიშით დაამარცხეს ესპანეთი (6:1) და შვეცია (7:1), მაგრამ გადამწყვეტი მატჩი ურუგვაისთან მათ წააგეს 1:2.

1954 წლის პირველობაზე (შვეიცარიაში) მეოთხედფინალში ბრაზილია შეხვდა უნგრეთის გუნდს და დამარცხდა ანგარიშით 2:4.

ამას წინათ იტალიელმა სპორტულმა კომენტატორმა ჯანი ბრერამ ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდა თავისი მოსაზრებები ბრაზილიის ფეხბურთზე: 1950 წლამდე,— წერს ბრერა,— ბრაზილიის ნაკრებს ავარჯიშებდა ფლავიო კოსტა ფეხბურთის უდიდესი სპეციალისტი, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატში დამარცხების შემდეგ იგი ზეზე მორეირამ შეცვალა. მორეირა დაესწრო 1952 წელს ჰელსინკში ოლიმპიურ თამაშებს და იქ „აღმოაჩინა ფეხბურთის უნგრული სტილი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მორეირამ გადაწყვიტა ევროპის საუკეთესო გუნდების ტაქტიკის გადაღება. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მწვრთნელი შეეცადა „დუბლ-ვეს“ სისტემის პოპულარიზაციას. მაგრამ არაფერი გამოიღო. ბრაზილიელები განაგრძობდნენ ლათინური ამერიკის ფეხბურთისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური სტილით თამაშს.

ამჟამად ნაკრები გუნდის მწვრთნელობა კვლავ ფლავიო კოსტამ იკისრა. და სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიპოვეს ბრაზილიელებმა დიდი წარმატება პანამერიკულ თამაშებზე. მიუხედავად ამისა ბრაზილიის ფეხბურთის სპეციალისტები თვლიან, რომ მათი მთავარი კონკურენტები ევროპიელები იქნებიან.

როგორც ფლავიო კოსტამ განაცხადა, ევროპაში ბრაზილიელების ტურნეს მთავარი მიზანი იყო აკლიმატიზაცია ევროპის კონტინენტზე, აქაური ფეხბურთის სკოლების შესწავლა (განსაკუთრებით ესპანეთ-პორტუგალიის, შუა ევროპის და ბრიტანული სტილის) დაცვის ტაქტიკის დეტალურად გაცნობა და შევიწროებულ ვადებში თამაშების ჩატარება (ისე როგორც ეს მსოფლიო პირველობაზე იქნება).

ერთი თვის განმავლობაში ბრაზილიელები შვიდჯერ გამოვიდნენ მოედანზე. მათ მოიპოვეს 3 გამარჯვება, ორი შეხვედრა ფრედ დაამთავრეს და ორი წააგეს. აი ამ მატჩების შედეგებიც: 8 აპრილს (ლისაბონში) ბრაზილია-პორტუგალია — 1:0, 11 აპრილს (ციურიხში) ბრაზილია-შვეიცარია — 1:1, 15 აპრილს (ვენაში) ბრაზილია-ავსტრია — 3:2, 21 აპრილს (პრაღაში) ბრაზილია-ჩეხოსლოვაკია — 0:0, 25 აპრილს (მილანში) ბრაზილია-იტალია — 0:3, 1 მაისს (სტამბოლში) ბრაზილია-თურქეთი — 1:0, 9 მაისს (ლონდონში) ბრაზილია-ინგლისი — 2:4.

საფრანგეთის, იტალიის და შვეიცარიის პრესა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ბრაზილიელი ფეხბურთელები ატლეტური აღნაგობის სპორტსმენები არიან, საკმაოდ გამძლენი, თამაშობენ მაღალ ტემპში და აქვთ ვირტუოზული, ზოგ შემთხვევაში წარმოუდგენელი ტექნიკა. მათი ძირითადი ნაკლი ჟურნალისტების აზრით ისაა, რომ ბრაზილიელები სუსტად ფლობენ დაცვის ტექნიკას, არა აქვთ კოლექტიურობა.

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა ფლავიო კოსტამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩვენ ევროპაში ცოდნის მისაღებად ჩამოვედით, როგორც მოწაფეები, ჩვენ გაგვაოცა ევროპის გუნდების მცველთა თავგანწირულმა თამაშმა. ბრაზილიაში არ კულტივირებს ისეთი მჭიდრო და პერსონალური დაცვა როგორც ევროპაში. ჩვენთან იყენებენ უმთავრესად ზონურ დაცვას, სადაც მოთამაშეს მეტი შესაძლებლობა აქვს გამოამჟღავნოს თავისი ინდივიდუალური ტექნიკა.

ჩვენი გუნდი, თქვა შემდეგ ფლავიო კოსტამ, არსებითად თერთმეტი თავდასხმელისაგან შედგება. როდესაც ჩვენ ვუტევთ, უპირატესობა ჩვენს მხარესაა, მაგრამ როდესაც დაცვაში გადავდივართ, მდგომარეობა უარესდება. საჭიროა, ჩვენი ატლეტური მონაცემები და მაღალი ტექნიკა, შევუთანხმოთ ფეხბურთის ევროპულ გაგებას.

ევროპაში ტურნე ბრაზილიის გუნდმა ჩაატარა იმ შემადგენლობით, რომელსაც დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ თვლიან სპეციალისტები: მეკარე გილმარი, მცველები — დ. სანტოსი, ნ. სანტოსი, ზაზიმო და ბაავო, ნახევარდაცვა — დეკვინა და პაულინიო, თავდასხმა — ალვარო, გინო, დიდი (იგივე პერეირა) და კანოტეირო.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3.90.34, მორიგისა და გამომშვების — 3.88.25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14
უე 07129